

1.	ხელშეკრულების თარიღი	-----
2.	ხელშეკრულების ნომერი და ხელშეკრულების დასახელება	სესხის ხელშეკრულება №----- /
3.	ხელშეკრულების მხარეები	
3.1.	გამსესხებელი	შპს ----- ს/ნ -----
3.2.	უფლებამოსილი პირი	დირექტორი
3.3.	მინდობილობის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	-
3.4.	მისამართი	ქ.-----
3.5.	ტელეფონი, ელ.ფოსტა	-
3.6.	ბანკი, ბანკის კოდი	სს ----- ბანკი
3.7.	ანგარიშის ნომერი	-----
3.8.	მსესხებელი	შპს -----ს/ნ-----
3.9.	უფლებამოსილი პირი	დირექტორი -----
3.10.	მინდობილობის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	-
3.11.	მისამართი	ქ.----- / რ.-----
3.12.	ტელეფონი, ელ.ფოსტა	-----
3.13.	ბანკი, ბანკის კოდი	-
3.14.	ანგარიშის ნომერი	-
4.	ხელშეკრულების საგანი	გამსესხებელი მსესხებელს გადასცემს სესხის თანხას მსესხებლის მიერ გამსესხებელზე ყოველ ჯერზე წერილობითი მიმართვის გზით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, ხოლო მსესხებელი ვალდებულია დაუბრუნოს გამსესხებელს სესხის თანხა დარიცხულ სარგებელთან ერთად.
5.	სესხის თანხა	თანხა, რომელიც გაიცემა მსესხებელზე და ექვემდებარება ამ უკანასკნელის მიერ გამსესხებლისათვის დაბრუნებას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით, სესხის თანხის ოდენობად ითვლება ის თანხა რომელიც აითვისა/მიიღო მსესხებელმა საკუთრებაში გამსესხებლისგან.
6.	პროცენტი	სარგებელი, რომელიც ერიცხება სესხის თანხას და რომლის გამსესხებლისთვის გადახდის ვალდებულებაც (სასყიდლის ფორმით) მსესხებელს წარმოეშობა სესხის თანხის დაბრუნებასთან ერთად;
6.1.	პროცენტის ოდენობა თვიური / დღიური / წლიური	
7.	საკრედიტო ხაზის ოდენობა	სესხის თანხა რომლის ზღვრული ოდენობას შეადგენს ----- ლარს. აღნიშნული თანხა წარმოადგენს მსესხებლის მიერ შესაძლო ასათვისებელ თანხას, რომელიც შესაძლოა ნაწილობრივ ან/და სრულად აითვისოს მსესხებელმა.
8.	ხელშეკრულების მოქმედების ვადა	ხელშეკრულება ძალაში მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ----- კალენდარული ----- განმავლობაში.
9.	სესხის თანხის გადაცემა	ყოველ ჯერზე მსესხებელი გამსესხებელს მიმართავს წერილობით მოთხოვნით (დანართი ----- შესაბამისად), გამსესხებელმა მას გადასცეს სესხის თანხა უნაღდო ანგარიშსწორების გზით.
10.	მხარეთა დასახელება	წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის, გამსესხებელი და მსესხებელი ერთად მოიხსენებიან როგორც მხარეებ ან/და მხარე კონტექსტის მიხედვით
11.	პირგასამტეხლო	მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება, რომელიც გამოიყენება მსესხებლის მიერ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად და გადაიხდება მსესხებლის მიერ სესხის დაბრუნების ვადის გადაცილების ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში
12.	სესხის ხელშეკრულება	მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება შედგება შემდეგი დოკუმენტებისაგან: (ა) წინამდებარე სესხის ხელშეკრულება (ბ) სესხის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ან/და (გ) ნებისმიერი დამატებითი დანართი.
13.	უპირატესობა	სესხის ხელშეკრულების ან/და დანართ(ებ)ის პირობებთან სტანდარტული პირობების წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება სესხის ხელშეკრულების ძირითად პირობებს.
14.	ხელშეკრულების ენა	ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 ეგზემპლარად ქართულ. თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს. შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ხელშეკრულებას.
16. მხარეთა ხელმოწერები		
გამსესხებელი		მსესხებელი
შპს -----		შპს -----

<p>1. ხელშეკრულების საგანი</p> <p>1.1. გამსესხებელი მსესხებელს გადასცემს სესხის თანხას მსესხებლის მიერ გამსესხებელზე ყოველ ჯერზე წერილობითი მიმართვის გზით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, ხოლო მსესხებელი ვალდებულია დაუბრუნოს გამსესხებელს სესხის თანხა დარიცხულ სარგებელთან ერთად.</p>
<p>2. სესხის და სარგებლის განსაზღვრის ოდენობა</p> <p>2.1. სესხად გადაცემული თანხის სარგებლის ოდენობა შეადგენს გადაცემული თანხის ----- % წლიურად, რომელიც მსესხებელმა უნდა დაუბრუნოს გამსესხებელს ძირ თანხასთან ერთად წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. სესხის თანხას წარმოადგენს ის თანხა, რომლის ათვისებაც განახორციელა მსესხებელმა. ძირი თანხის დაბრუნებას მსესხებელი ახორციელებს ხელშეკრულების მოქმედების ვადის დამთავრებისას. ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე მსესხებელი იხდის ათვისებული თანხის პროცენტს (სარგებელს).</p> <p>2.2 მსესხებელი ათვისებული თანხის პროცენტს იხდის საანგარიშო თვის ყოველ 5 (ხუთ) რიცხვამდე.</p> <p>2.3 სესხის თანხის (სარგებელსა და პროცენტს) საფასურს მსესხებელი უხდის გამსესხებელს გამსესხებლის კუთვნილ საბანკო ანგარიშზე უნაღდო ანგარიშსწირების გზით.</p> <p>2.4. მსესხებლისათვის გადასაცემი თანხის ოდენობა განისაზღვრება ყოველ ჯერზე მსესხებლის მიერ წერილობით მოთხოვნის (დანართი -----ის) საფუძველზე.</p>
<p>3. სესხის დაბრუნება</p> <p>3.1 მსესხებელი უფლებამოსილია მოახდინოს სესხის ვადამდე სრულად დაფარვა. სესხის ვადამდე სრულად დაფარვის შემთხვევაში მსესხებელი იხდის სესხის თანხას და პროცენტს იმ ოდენობით, რა ოდენობითაც პროცენტი გადასახდელი იქნებოდა სესხის დაბრუნების ვადის ბოლო დღისათვის, თუ აღნიშნულს მოითხოვს გამსესხებელი.</p> <p>3.2. მსესხებლის მიერ გადახდილი თანხებით პირველ რიგში იფარება დარიცხული პირგასამტეხლო (ასეთი არსებობის შემთხვევაში) შემდეგ პროცენტი, ასანაზღაურებელი ხარჯები (რომელიც შესაძლოა იყოს) ბოლოს სესხის ძირი თანხა. თუ გადახდილი თანხები საკმარისი არ არის პროცენტისა და სესხის თანხის დასაფარად, შეუსრულებელ ნაწილში გრძელდება პირგასამტეხლოს დარიცხვა და მსესხებელი წინასწარ აცხადებს თანხმობას სესხის დაფარვის ზემოაღნიშნულ რიგითობაზე.</p> <p>3.3. სესხი დაფარულად ჩაითვლება და სასესხო ურთიერთობა წყდება (ვალდებულების შესრულებით) გამსესხებლის საბანკო ანგარიშზე სესხის თანხის, მასზე დარიცხული პროცენტის, პირგასამტეხლოსა და ასანაზღაურებელი ხარჯების შესაბამისი თანხის (არსებობის შემთხვევაში) სრულად ჩარიცხვის შემთხვევაში.</p>
<p>სესხის ხელშეკრულების სრული ვერსიის მისაღებად/საადვოკატო და იურიდიული კონსულტაციის მიღებისათვის დამიკავშირდით შემდეგ მისამართებზე: www.advokontu.ge facebook: Guram Kontuadze tel/viber/whatsapp: +995591976764 ელ. ფოსტა: guram.kontuadze@gmail.com</p> <p>ადვოკატი გურამ კონტუაძე, სრული იურიდიული და საადვოკატო მომსახურება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. პრეცედენტებს ვქმნით ჩვენ</p> 